



სამუშაო შეხვედრა კახეთის რეგიონში

თელავი, 2015 წლის 3 აპრილი

სესია: კულტურული მემკვიდრეობა

მოდერატორი: თამარ წულუკიძე - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის კულტურის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი

მონაწილეები:

გივი პაატაშვილი, თელავის კულტურის განყოფილების ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა მთავარი სპეციალისტი

აჩიკო შათირიშვილი, თელავის თვითმმართველი თემის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა წამყვანი სპეციალისტი

თამარ ყურაშვილი, თელავის თვითმმართველი თემის თელავის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი

მანანა მაჭარაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელმძღვანელი

სერგო ქართველიშვილი, წამყვანი სპეციალისტი ძეგლთა დაცვის საკითხებში, დედოფლისწყარო

აკაკი კარდენახიშვილი, გურჯაანის კულტურის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

თამაზ მარკოზაშვილი, გურჯაანის გამგეობის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი სპეციალისტი

ნუნუ კარდენახიშვილი, ღვინისა და ვაზის მარანი-მუზეუმი „ნუმისი“

მზია გლურჯიძე, გურჯაანის საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელმძღვანელი

შოტა უტიაშვილი, გურჯაანის სამუზეუმო გაერთიანების ხელმძღვანელი

თამარ ღვინიაშვილი, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის სპეციალისტი ძეგლთა დაცვის საკითხებში

ნათელა ნოზაძე, ლაგოდეხის საბიბლიოთეკო გაერთიანების მეთოდისტი

ნინო ქაიხოსროშვილი, მთავარი სპეციალისტი კულტურის საკითხებში (საგარეჯო)

ლია გოდერძიშვილი, საგარეჯოს ა.ა.ი.პ. კულტურის ობიექტების გაერთიანების ცენტრალური ბიბლიოთეკის მენეჯერი

ბადრი დრეიძე, საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მენეჯერი

თამარ ჯონაძე, მთავარი სპეციალისტი - ძეგლთა დაცვის საკითხში (განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახური), სიღნაღი

ნინო ფერიაშვილი, სიღნაღის საბავშვო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი

თამრიკო ზურიაშვილი, ა.ა.ი.პ. ილია ჭავჭავაძის ყვარლის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი

ნანა სეფაშვილი, ყვარლის კულტურის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

ლალი ავაზაშვილი, ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტ. სამსახურის მთავარი სპეციალისტი

ორსაათიან დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს თელავის, ლაგოდეხის, ახმეტის, ყვარლის, სიღნაღის, გურჯაანის მუნიციპალიტეტების ადგილობრივი მმართველობის, მუზეუმებისა და ბიბლიოთეკების წარმომადგენლებმა. საუბარი შეეხო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან, მუზეუმებთან და ბიბლიოთეკებთან დაკავშირებულ პრობლემებს. კერძოდ:

მუზეუმებთან დაკავშირებით გამოვლენილი პრობლემები:

ინფრასტრუქტურა:

- მოძველებული ინფრასტრუქტურა
- არ ტარდება შენობის რესტავრაცია

მენეჯმენტი:

- ფუნქციურად დაუტვირთაობა - მუზეუმების შემეცნებითი ფუნქციის არარსებობა
- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან კომუნიკაციის დეფიციტი
- ე.წ. „შავი არქეოლოგიის“ შემლუდვის საჭიროება

კანონმდებლობა:

- დაკარგული ექსპონატების ჩამოწერის შეუძლებლობა - (საკანონმდებლო ხარვეზი: „კანონი მუზეუმების შესახებ“)
- დროებით გატანილი ექსპონატების დაბრუნების სუსტი მექანიზმები

კომუნიკაცია:

- ტურიზმის დეპარტამენტთან კომუნიკაციის ნაკლებობა
- ადგილობრივ ხელისუფლებასთან სუსტი კომუნიკაცია
- ინფორმაციის ნაკლებობა დაფინანსების ალტერნატიული წყაროების შესახებ

განათლება:

- კადრების გადამზადების, ტრენინგების საჭიროება
- არ ტარდება მასშტაბური კვლევები

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებით გამოვლენილი პრობლემები:

ინფრასტრუქტურა:

- სარესტავრაციო სამუშაოების ნაკლებობა
- ძეგლთან მისასვლელი ინფრასტრუქტურა მოუწესრიგებელია

კანონმდებლობა:

- არ არსებობს ვალდებულება არტეფაქტის ან ძეგლის ნაშთის აღმოჩენის შემთხვევაში მისი დაცვის შესახებ
- კერძო მფლობელობაში არსებული „ძეგლის“ სტატუსი შენობის რეაბილიტაციაზე პასუხისმგებელი ორგანო არ არის ცალსახად განსაზღვრული
- თვითნებური, უკონტროლო რესტავრაცია

ფინანსები:

- მწირი ადგილობრივი ბიუჯეტი

მენეჯმენტი:

- „ძეგლის მცველთა“ რაოდენობის მუნიციპალიტეტში შემავალი ძეგლების რაოდენობის შესაბამისად გათვალისწინება
- ფრესკების, ტაძრების უხარისხო და არაკვალიფიციური რესტავრაცია
- „ძეგლთა დაცვა“ არ არის ჩამოყალიბებული ცალკე სტრუქტურულ ერთეულად

ბიბლიოთეკებთან დაკავშირებული პრობლემები:

ინფრასტრუქტურა:

- სოფლად კომპიუტერული მონაცემების არარსებობა
- საინფორმაციო ქსელების, ციფრული ვერსიების არარსებობა
- სარესტავრაციო შენობები
- გათბობის მოშლილი სისტემა
- არ არსებობს სატრანსპორტო მომსახურება (ფილიალებში გადასადგილებლად, წიგნის ადგილზე მისატანად აუცილებლობის შემთხვევაში)

განათლება:

- კადრების გადამზადება/ტრენინგები
- ბიბლიოთეკარის სპეციალობა არ არის უზრუნველყოფილი შესაბამისი კურიკულუმებით

კანონმდებლობა:

- მოძველებული საკანონმდებლო ბაზა (დამატებითი ფუნქციებია გასათვალისწინებელი)

კომუნიკაცია

- არ იღებენ მეთოდურ დახმარებას სამინისტროდან
- სამინისტროსგან ესაჭიროებათ ადვოკატირება (მაგ. კადრების შემცირების შემთხვევაში)

ფინანსები:

- არ არის დარეგულირებული სახელფასო განაკვეთები (არ არსებობს მინიმალური ზღვარი და განათლების ცენზის შესაბამისი ანაზღაურება)
- სახელფასო განაკვეთი განსხვავებულია მუნიციპალიტეტების მიხედვით

კომუნიკაცია

- ფინანსთა სამინისტროსთან სუსტი კომუნიკაცია (საბიუჯეტო ურთიერთობის გარკვევა ხაზინასთან)

ზოგადი პრობლემები:

- დასახვეწია საკანონმდებლო მარეგულირებელი ჩარჩო
- საჭიროა კომუნიკაციის გაძლიერება ადგილობრივ, რეგიონულ, ცენტრალურ ხელისუფლებასთან
- დაბალია ცნობიერების დონე დაფინანსების ალტერნატიულ წყაროებთან დაკავშირებით
- საჭიროა ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია
- საჭიროა კადრების გადამზადება/ტრენინგები
- საჭიროა მმართველი რგოლის რესტრუქტურიზაცია
- მწირია ადგილობრივი ბიუჯეტი
- არ არსებობს დარგის პრიორიტეტულობის ხედვა